თბილისი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 22 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) - “დინამო” (კიევი) - 1:0 (0:0).

თბილისი: სტეფანია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ყიფიანი, გუცაევი, ფ. რეხვიაშვილი.

კიევი: რუდაკოვი, დოცენკო, სოსნიხინი (ჟურავსკი), მატვიენკო, რეშკო, ტროშკინი, მუნტიანი, კოლოტოვი, ბიშოვეცი, ვერემეევი, ხმელნიცკი.

მსაჯი: კ. ანძიულისი (კაუნასი).

დუბლიორები - 1:1.

... მიმდინარეობდა მატჩის მე-15 წუთი, როცა კ. ანძიულისმა თამაში შეწყვიტა. არბიტრთან ერთად ადგილზე გაჩერდა მინდორზე მყოფი 22 მოთამაშე. ფეხზე წამოდგა ყველა, ვინც ტრიბუნებზე იყო. ეს იყო წუთიერი, მგლოვიარე დუმილი, რომლითაც პატივი სცეს გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის შოთა იამანიძის ნათელ ხსოვნას. ერთი წუთი, რომელიც არაა გათვალისწინებული თამაშის წესებში, დაემატა ამ მატჩს...

სხვა დროს, სხვა პირობებში კიევისა და თბილისის დინამოელთა შეხვედრა სულ სხვანაირად წარიმართებოდა, მაგრამ ამჯერად მატჩი არ გამოდგა უმაღლესი კატეგორიისა და ეს გასაგებიცაა: კიეველებს არ ჰქონდათ სტიმული ებრძოლათ ძალთა მაქსიმალური დაძაბვით, მთელი ენერგიით და თავგამოდებით. მძიმე, დამქანცველი სეზონი ზურგს უკან დარჩა, მთავარი მიზანი შესრულებულია. ოქროს მედლები მოგებულია, ამიტომ ჩემპიონმა ვერ დაუპირისპირა თბილისელებს ის ენერგია, ის მიზანსწრაფვა, რომელსაც გუნდი იჩენს, როცა ქულა სჭირდება ხოლმე.

თბილისელებს კი ძალიან სჭირდებოდათ ეს 2 ქულა. დღის წესრიგში დგას ბრძოლა ვერცხლის მედლებისთვის, ამიტომ გუნდს არ უნდა დაეშურებინა ძალა და შესაძლებლობანი. უკვე პირველი 15 წუთის მანძილზე კიეველთა მხარეს რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა გოლის გატანის შესაძლებლობა მიეცათ გუცაევს, ყიფიანს, მაჩაიძეს, იერიშში ერთვოდნენ მცველებიც, მაგრამ ნერვიულობა და ნაჩქარეობა ასეთ დროს ცუდ სამსახურს უწევს ფეხბურთელს, ამიტომ იყო, რომ გადამწყვეტი დარტყმები ან სცდებოდა კარს, ან ბურთი რუდაკოვს უვარდებოდა ხელთ.

გოლის გატანა მოხერხდა მხოლოდ მეორე ტაიმში, 56-ე წუთზე. პეტრიაშვილმა მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა საჯარიმო მოედანზე, კიეველთა მცველები წამით შეფერხდნენ და ღიად დარჩენილმა ყიფიანმა მოტრიალებით, ძლიერი დარტყმით გაგზავნა ბურთი მეტოქის კარში. ამ გოლმა თბილისელებს მოუტანა მეტად საჭირო გამარჯვება ჩემპიონთან შეხვედრაში.

რ. ქორქია.

“ლელო”, 24 ოქტომბერი, 1971 წ.